საქართველოს ეროვნული ბანკის 2026-2027 წლების ანგარიშგების გარე აუდიტის განმახორციელებელი დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის (გარე აუდიტორის) შესარჩევი საკონკურსო კომისიის
განცხადება

საქართველოს პარლამენტის 2026 წლის 9 ივნისის N1671-Vმს-XIმპ დადგენილების საფუძველზე შექმნილი **საქართველოს ეროვნული ბანკის 2026-2027 წლების ანგარიშგების გარე აუდიტის განმახორციელებელი დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის (გარე აუდიტორის) შესარჩევი საკონკურსო კომისია** საქართველოს პარლამენტის სახელით აცხადებს კონკურსს საქართველოს ეროვნული ბანკის 2026-2027 წლების ანგარიშგების აუდიტის თაობაზე. საკონკურსო კომისია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის შესრულების მიზნით იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მსოფლიოს სამ ყველაზე მსხვილ აუდიტორულ ფირმას: "Deloitte Touche Tohmatsu"-ს, "Ernst & Young"-ს, "PriceWaterhouseCoopers"-ს

- მომსახურება უნდა განხორციელდეს კონკურსში გამარჯვებულსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად და აუდიტი დასრულებული უნდა იქნეს არა უგვიანეს შესაბამისი წლის 15 აპრილისა;
- აუდიტი უნდა ჩატარდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტორულმა ფირმამ აუდიტის განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით;
- ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადებისა და საკონკურსო წინადადებების მიღება დაიწყება 2026 წლის 24 აგვისტოს 10 საათიდან და დამთავრდება 2026 წლის 31 აგვისტოს 18:00 საათზე;
- განაცხადები და საკონკურსო წინადადებები მიიღება ქალაქ თბილისში, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8, ტელ: +995 322 28 13 15; კონკურსში

მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პრეტენდენტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატში (ზემოაღნიშნულ მისამართზე) სამუშაო დღეებში (10 საათიდან 18 საათამდე): ტელ: +995 322 28 13 15; მობ. ტელ: 599 85 87 50; საკონტაქტო პირი: ირინა ლომია; ელ.ფოსტა: ilomia@parliament.ge, გიგი ელიზბარაშვილი gelizbarashvili@parliament.ge;

- კონკურსში გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.